
თიბისი ბანკი

0007224 ბათუმის ფილიალის ტრანსფორმატორის შესყიდვა, დემონტაჟი და მონტაჟი

ელექტრონული ფასთა კოტირება



სს “თიბისი ბანკი” შემდგომში “მყიდველი” გიწვევთ ღია ელექტრონულ ფასთა კოტირებაში მონაწილეობისათვის და გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები შესყიდვების ელექტრონული სისტემის – tenders.ge საშუალებით.

I. მონაწილეობის წესები

წინადადებების ატვირთვა შესაძლებელია 20.11.2026წ. 12:00 საათიდან 18:00 საათამდე.

ტექნიკური ხასიათის კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით:
ბესიკ ვეშაპიძე 551 622 227 Beveshapidze@Tbcbank.ge
დავით ადამაშვილი 599 015 353 DAdamashvili@Tbcbank.ge

დოკუმენტაციის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით:
ვახტანგ ქიტუაშვილი 599 88 45 30 Vkituashvili@Tbcbank.ge

- დაზუსტების მიზნით მოწოდებული ყველა ტიპის ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონული სახით) ითვლება წინადადების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად.
- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო ფასს და დააკმაყოფილებს გამოცხადებულ პირობებს.
- გამარჯვების შემთხვევაში კომპანიამ „თიბისი ბანკში“ უნდა გახსნას ანგარიში ან არსებობის შემთხვევაში წარმოადგინოს საბანკო რეკვიზიტები.
- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტით, მისამართზე Procurement@Tbcbank.com.ge
- ბანკის მიერ შესაძლებელია შეწყდეს შესყიდვის პროცესი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში (მხოლოდ ერთი შემოთავაზება და ა.შ.), რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე;

II. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- კომპანიის რეკვიზიტები და საქონლის დეტალური განფასება (**დანართი N1**);
- ხელმოწერილი და დასკანერებული აფიდავიტის ფორმა;
- ხელმოწერილი და დასკანერებული KYP ფორმა;